ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7387689

ნომერი: AR11077946

თარიღი : 14.02.2025

გაცემის თარიღი : 21.02.2025

გაცნობის თარიღი : 22.02.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 14 თებერვალს №AR11077946 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის

22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებით, №01.72.14.036.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის II ბლოკის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2024 წლის 20 მაისის №7030093 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 20 მაისიდან 2026 წლის 20 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 20 ივნისის №7089723 და 2024 წლის 5 ივლისის №7115538 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომები სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ჩანაცვლდა ±0.00 ნიშნულის და +3.00 ნიშნულების გეგმები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის II ბლოკის ნაცვლად“ ნაცვლად დაფიქსირებულია „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ №AR11007903 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.72.14.036.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის II ბლოკის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, მათ შორის გენერალური გეგმა. სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის II ბლოკის არქიტექტურული პროექტი, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში არ იქნა მითითებული საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შესაბამისი ბლოკი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, ასმათის ქუჩა №31-ში მდებარე №01.72.14.036.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის II ბლოკის არქიტექტურული პროექტი.“
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964, 2024 წლის 20 ივნისის №7089723 და 2024 წლის 5 ივლისის №7115538 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.